

## რეკომენდაცია

### შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე - 20<sup>1</sup> და „ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე- 3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო დავით,

2017 წლის 9 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს N11801/17 განცხადებით მომართა ვ. კ. -მ (შემდგომში განცხადებელი), რომლის ინტერესებსაც სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენს ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვ. კ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მხრიდან არის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი.

### 1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი განმარტავს, რომ ის არის უსინათლო, რის საფუძველზეც, 2000 წლის 26 ოქტომბერს მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი. 2011 წელს განმცხადებელმა მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის შედეგად, განმცხადებელი დარეგისტრირდა ბაზაში და მიენიჭა სოციალურად დაუცველის სტატუსი, რის საფუძველზეც სარგებლობს გარკვეული შეღავათებით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა რამდენჯერმე შეაფასა განმცხადებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. თითოეული შემოწმების დროს განმცხადებელმა უფლებამოსილ პირს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია, მათ შორის, მიუთითა რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის სტავროპოლის მხარის ქალაქ კისლოვოდსკში დანიშნული პენსიის შესახებ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ დეკლარაციის შევსების შემდეგ, უსინათლობის გამო, არ მიეცა შესაძლებლობა პირადად გაცნობოდა

სოციალური აგენტის მიერ შეტანილ მონაცემებს, რის გამოც აგენტმა თავად წაუკითხა დეკლარაციაში ასახული ინფორმაცია. რის შემდეგაც განმცხადებელმა ნდობის საფუძველზე მოაწერა ხელი დოკუმენტს.

განმცხადებლის მითითებით, სააგენტოს უფლებამოსილი პირისათვის მას არ დაუმაღავს, რომ მიუხედავად საპენსიო ასაკისა, საქართველოში არ იღებს პენსიას და ასევე, ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის სტავროპოლის მხარის ქალაქ კისლოვოდსკში დანიშნული აქვს პენსია. განმცხადებლის განმარტებით, მან მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა სრულყოფილად არ შეავსო დეკლარაცია, კერძოდ, არ შეიტანა ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის მიერ დანიშნული პენსიის შესახებ, რის გამოც, ყალბი მონაცემების მიწოდების საფუძველით, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 10 ივლისის ბრძანებით გაუუქმდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანება ადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესს. ბრძანების მე-4 მუხლის თანახმად, ოჯახის შესახებ მოპოვებული სუბიექტური და ობიექტური ინფორმაცია სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შეიტანება ოჯახის დეკლარაციაში. მე-11 მუხლის თანახმად, დეკლარაციის „A“, „B“, „C“, „D“ და „E“ ბლოკების სრულად შევსების შემდეგ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს შევსებულ დეკლარაციას, რათა დარწმუნდნენ, რომ დეკლარაციის ყველა საჭირო კითხვაზე შემოხაზულია შესაბამისი პასუხი და დამატებით გადამოწმდეს დეკლარაციის შევსების მართებულობა და სისრულე. დეკლარაციის „A“, „B“, „C“, „D“ და „E“ ბლოკების შევსების დასრულების შემდეგ, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელს აწერს დეკლარაციის ყველა შესაბამისი ფურცლის ბოლოს, რაც ადასტურებს, რომ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ დეკლარაციაში ასახულია სრულად, შეესაბამება სიმართლეს და პასუხისმგებელია მის სისწორეზე.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბრძანება არ ითვალისწინებს, თუ როგორ უნდა მოხდეს დეკლარაციის გაცნობა ისეთი პირისთვის, რომლებსაც ობიექტური მიზეზების გამო დამოუკიდებლად არ შეუძლიათ დეკლარაციის წაკითხვა. სპეციალური რეგულირების არარსებობის გამო კი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეამოწმონ, რამდენად შეესაბამება მათ მიერ სოციალური აგენტისათვის მიწოდებული ინფორმაცია დეკლარაციაში ასახულ მონაცემებს და დეკლარაციაზე ხელმოწერით ნამდვილად დაადასტურონ დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სიზუსტე. არსებული პრაქტიკით, პირს არ შეუძლია გადაამოწმოს დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სიზუსტე, ინტერვიუს დროს ის მთლიანად არის მინდობილი სააგენტოს უფლებამოსილ პირზე, რომელმაც შესაძლოა დეკლარაციაში შეცდომით შეიტანოს რაიმე

მონაცემი, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციაზე უარის საფუძველი გახდეს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წლის 6 ოქტომბერს მოწოდებული ინფორმაციით, ის გარემოება, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბრაილის შრიფტით ოჯახის დეკლარაციის ფორმის წარმოებას, არ მიუთითებს მხედველობის მქონე პირების დისკრიმინაციის ფაქტზე. მოპასუხე მხარის მითითებით, განმცხადებლის ოჯახი შედგება ორი წევრისაგან, რომელთაგან ერთ-ერთ წევრს არ აქვს მხედველობის პრობლემა და შესაბამისად, გააჩნდა ოჯახის დეკლარაციაში ასახული მონაცემების გაცნობის შესაძლებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, განმცხადებელი განმარტავს, რომ მის შვილს მძიმე დაავადება აქვს და მას ობიექტური მიზეზების გამო არ შეეძლო ინტერვიუ მიეცა სოციალური აგენტისათვის.

## 2. სამართლებრივი დასაბუთება

თანასწორობის უფლება გარანტირებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.<sup>1</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II,1.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, *არსებობს თანაბარი მოპყრობა არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს შორის*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი დასახული *მიზნის არათანაზომიერია*.

## **2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაში ხელი შეეშალა განმცხადებელს**

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა რომ უზრუნველყოს ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების თანაბარი მისაწვდომობა. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენასა და აღმოფხვრას.

კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, კომუნიკაცია მოიცავს ენებს, ტექსტის გაფორმებას, ბრაილს, ტაქტილურ კომუნიკაციას, მსხვილი შრიფტით ბეჭდვას, მისაწვდომ მულტიმედიურ საშუალებებს, ისევე როგორც ბეჭდვით მასალებს, აუდიო საშუალებებს, ჩვეულებრივ მეტყველებას, მკითხველებს, გამაძლიერებელ და ალტერნატიულ მეთოდებს, ხერხებსა და ფორმატებს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.

კონვენციის 21-ე მუხლი თანახმად, სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ღონისძიებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი აზრისა და რწმენის გამოხატვის უფლების უზრუნველსაყოფად, რაც ასევე მოიცავს ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გამოყენების თანაბარ უფლებას მათ მიერ არჩეული ნებისმიერი სახის საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით. სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქესტების ენის, ბრაილის შრიფტის, ალტერნატიული და სხვა დამატებითი კომუნიკაციის საშუალებით.

ამასთან, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით სახელმწიფო აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას სოციალურ დაცვაზე, ამ უფლებით შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გამოყენების უფლებას და იღებენ შესაბამის ზომებს მისი დაცვისა და რეალიზებისათვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის განმარტებით, სოციალური დახმარების მიღებისათვის საჭირო პროცესის (ლონისძიებები, შესაბამისი სერვისები) შესახებ ინფორმაცია და კომუნიკაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მათ შორის, ბრაილის შრიფტითა და სხვა ალტერნატიული საშუალებით.<sup>2</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას, ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ადამიანის უფლებას ხელი მიუწვდებოდეს ზოგად ინფორმაციაზე და არ მიუთითებს ადმინისტრაციულ დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობაზე, თუმცა მსგავს დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გაუტოლდება მე-10 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლებისა.<sup>3</sup>

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელს არ ეძლევა საშუალება, რომ მისი შესაძლებლობების შესაბამისად, საჭიროებისამებრ მიიღოს და გაეცნოს ისეთ დოკუმენტს როგორც არის ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ დეკლარაციას, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მისთვის.

## ***2.2. ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა***

როგორც ზემოთ აღინიშნა, ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ, თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ პირებს.

პირდაპირი დისკრიმინაციისაგან განსხვავებით, ანუ როდესაც თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირებს ეპყრობიან განსხვავებულად, ირიბი დისკრიმინაციის დროს შედეგად დგება **განსხვავებული ნეგატიური ეფექტი და შედეგი** დაუცველი ჯგუფის სხვა პირების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებით.<sup>4</sup>

<sup>2</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 2 (2014), Article 9: Accessibility, პარა 42.

<sup>3</sup> ECtHR, Sdružení Jihočeské Matky v. Czech Republic (decision), App. No.: 19101/03, §1.1.

<sup>4</sup> Handbook on European Non-discrimination Law, 2011, გვ. 30, ხელმისაწვდომი ვებ-გვერდზე: <http://fra.europa.eu/en/publication/2011/handbook-european-non-discrimination-law>

განსახილველ შემთხვევაში, სადავო, ფორმით ნეიტრალურ დოკუმენტს წარმოადგენს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის ვის შესახებაც დეკლარაცია ივსება. დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების ნამდვილობის დასადასტურებლად აუცილებელია პირი გაეცნოს მას და ხელმოწერით დაადასტუროს, რომ ეთანხმება დეკლარაციაში შეტანილ მონაცემებს. აღნიშნულის უფლებამოსილება გააჩნია ასევე პირის ოჯახის წევრს ან კანონიერ წარმომადგენელს.

ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დეკლარაცია ყველასათვის ხელმისაწვდომია მსგავსის საშუალებით, ბრაილის შრიფტის ან სხვა ალტერნატიული საშუალების არარსებობის პირობებში კი ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს შეზღუდული მხედველობა ან სრულად აქვს დაქვეითებული მხედველობა, მოკლებულია შესაძლებლობას პირადად გაეცნოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დეკლარაციაში ჩაწერილ არსებითად მნიშვნელოვან ინფორმაციას.

### **2.3. არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი პირებისადმი თანაბარი მოპყრობა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს, მასზე თანაბარი წვდომის (ხელმისაწვდომობის) გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.<sup>5</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ დისკრიმინაციაა, როდესაც არ ხდება იმ პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, რომელთა მდგომარეობაც არსებითად განსხვავებული და არ არსებობს ობიექტური და გონივრული გამართლება.<sup>6</sup>

ამდენად, დაუცველი ჯგუფებისათვის ფაქტობრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და დისკრიმინაციის აკრძალვის მიზნით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს აქტიური პოზიტიური ღონისძიებები რათა გამოასწოროს არათანასწორო გარემო.

მოცემულ საქმეში, განმცხადებელს ეპყრობიან იმ პირების თანასწორად, ვისაც არ აქვს მხედველობის პრობლემა და არ საჭიროებს ბრაილის შრიფტს წერილობითი დოკუმენტაციის გაცნობისათვის. ამდენად, განმცხადებელი, რომელსაც მისი შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე აქვს განსაკუთრებული საჭიროებები, არსებითად უთანასწორო მდგომარეობაშია იმ პირებთან მიმართებით, ვისაც სპეციალური საჭიროება არ გააჩნია და მათ თანაბრად ეპყრობიან.

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3.

<sup>6</sup> ECtHR, Thlimmenos v. Greece, app. no. 34369/97, 06/04/2000, §44.

#### **2.4. ლეგიტიმური მიზანი და ნეიტრალური წესის გამოყენების ობიექტური და გონივრული დასაბუთება**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, გადადის მოპასუხე მხარეზე. დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი ნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი რომელი აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ **განსახილველი საქმის ფარგლებში, არ შეაფასებს განმცხადებლის სოციალურად დაუცველთა ბაზიდან ამორიცხვის გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სახალხო დამცველისთვის 2017 წლის 6 ოქტომბერს წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის ფორმა არ არის დისკრიმინაციული უსინათლო პირების მიმართ, ვინაიდან მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ კანონიერი წარმომადგენლის ან/და ოჯახის წევრის დახმარებით გაეცნონ დოკუმენტს. ამასთან, მოპასუხემ მიუთითა, რომ განმცხადებლის ოჯახი შედგება ორი წევრისაგან, მის შვილს არ აქვს მხედველობის პრობლემა და შესაბამისად, შეეძლო ოჯახის დეკლარაციაში ასახულ მონაცემებს გაცნობოდა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არ დასახელდა ის ლეგიტიმური მიზანი, რომლითაც გამართლდებოდა უსინათლო პირების მიმართ სხვათა თანაბრად მოპყრობა. **ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში კი განსხვავებულ მოპყრობას და მისგან მომდინარე შესაძლო უარყოფით შედეგებს ობიექტური და გონივრული გამართლება არ აქვს.**

არსებული რეგულაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნის იმგვარ პირობებს, რომ ისინი იძულებულნი ხდებიან უარი თქვან ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენლად ყოფნაზე. მართალია, შესაძლებელია არსებობდეს ალტერნატიული საშუალებები, რომელიც სხვა პირის ჩართულობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს თავიდან აარიდებდა ნეგატიური შედეგის დადგომას, თუმცა სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა არ არის გამართლებული, ვინაიდან მხედველობის პრობლემის მქონე პირებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და არ იყვნენ დამოკიდებული სხვა პირებზე, მხოლოდ იმის გამო, რომ გარკვეული სახის დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი ბრაილის

შრიფტით ან სხვა ალტერნატიული ტექნიკური საშუალებით. ის ფაქტი, რომ ოჯახის წევრს შესაძლოა ობიექტურად შეეძლოს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ნაცვლად, გაეცნოს ამ პირთან ან/და ოჯახთან დაკავშირებულ გარკვეულ დოკუმენტაციას, არ არის საკმარისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ უფლებებით სრულყოფილი სარგებლობისათვის და ვერ უზრუნველყოფს ფაქტობრივ თანასწორობას. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ იმ პირობებში, როდესაც საქმე შეეხება სოციალური დახმარების დანიშნვის შესახებ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, მოპასუხე მხარის მიერ არ არის შეფასებული ის რისკები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს განმცხადებლის შეუძლებლობასთან, საკუთარი პასუხისმგებლობით დაადასტუროს მონაცემების სისწორე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვასა და მათთვის დიდი მოცულობით ავტონომიის მინიჭებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.<sup>7</sup> ზემოაღნიშნული ნეიტრალური პრაქტიკა, რომელიც სახელმწიფოს უსინათლო პირების მიმართებით აქვს, შესაძლოა ნეგატიური შედეგის მომტანი იყოს და არაპროპორციულად უარყოფითი გავლენა იქონიოს შეზღუდული მხედველობისა და უსინათლო პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაზე, მათ შორის, მათ პირად ავტონომიასა და ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე; შეაფერხოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობა და ინკლუზია და გაამარტივოს მათი გარიყვა საზოგადოებიდან. ბუნებრივია, აღნიშნულ პროცესებს განსაკუთრებით ხელს უწყობს ის, რომ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი მათთვის,<sup>8</sup> ვინაიდან აღნიშნული უმნიშვნელოვანესია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამლიერებისათვის.

განსახილველი საქმის შესწავლის საფუძველზე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არ ითვალისწინებს შეზღუდული მხედველობისა და უსინათლო პირების სპეციალურ საჭიროებებს ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობის კუთხით და არ ასრულებს მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას - გაატაროს ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფაქტობრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლისათვის, ბრაილის შრიფტით ან სხვა ტექნიკური ალტერნატიული საშუალებით, არ იყო ხელმისაწვდომი მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ვ. კ. გახდა ირიბი დისკრიმინაციის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

<sup>7</sup> ECtHR, *Stanev v Bulgaria* [GC], App. no.: 36760/06, 17/01/2017, §244.

<sup>8</sup> Conference of States Parties to the Convention on the Rights of Persons with Disabilities Ninth session New York, 14-16 June 2016 Item 5 (d) of the provisional agenda\* Matters related to the implementation of the Convention: round table 3; Enhancing the accessibility of information and technology and inclusive development, §2.



„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-20<sup>1</sup> მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით

საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-20<sup>1</sup> მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომ

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია ხელმისაწვდომი გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით და შესაბამისი ცვლილება შეიტანოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანებაში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სოციალურ/ჯანდაცვის პროგრამებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღება უზრუნველყოს ბრაილის შრიფტის, ქესტების ენის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციის ან/და სხვა ხელმისაწვდომი საშუალების გამოყენებით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,